ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 28-1

თბილისი 21 აგვისტო 2019 წ.

სსიპ „თბილისის სახელმწიფო კამერული ორკესტრი“ შემდგომში წოდებული **„შემსყიდველად“**, წარმოდგენილი მისი დირექტორის **კონსტანტინე კასრაძის** სახით, და ააიპ მესტიის მუნიციპალიტეტის კულტურის და ხელოვნების ცენტრი (ს/კ 435893749) შემდგომში წოდებული **„მიმწოდებლად“**, წარმოდგენილი მისი დირექტორის **გეგი ფალიანის** სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც **„მხარეები“**, ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის ("სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10' მუხლის მე-3 პუნქტის "დ" ქვეპუნქტი. საქართველოს მთავრობის განკარგულება №98 2012 წ. 24 იანვარი), საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.
დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი.

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ - „ხელშეკრულება“) – „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2. „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.3. „მიმწოდებელი“ ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;
1.4. „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
1.5. „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

2. ხელშეკრულების საგანი
2.1. მიმწოდებელი გაუწევს მომსახურებას (ღონისძიების ორგანიზება) შემსყიდველს ააიპ მესტიის კულტურის და ხელოვნების ცენტრის ამფითეატრით (მესტიის ცენტრში ამფითეატრის სცენის დათმობა) 2019 წლის 04 სექტემბერს შემსყიდველის პროექტის - „კამერული ორკესტრის 6 კონცერტი რაჭა-ლეჩხუმში, ქვემო სვანეთში და ზემო სვანეთში“, ზემო სვანეთის (მესტია, ლატალი) ღონისძიების ფარგლებში დაგეგმილი კონცერტის (დაწყება 20:00 საათი) ჩასატარებლად.

№	შესყიდვის ობიექტი	კლასიფიკატორის კოდი	განზომილების ერთეული	კონცერტების (ღონისძიების) რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	შესყიდვის ობიექტის ღირებულება (ლარი)
1	ღონისძიების ორგანიზება	79952000	ცალი	1	1500	1500
	სულ:					1500

3. ხელშეკრულების ღირებულება
3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 1500 (ათას ხუთასი) ლარს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.
3.2 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
3.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ კვალიფიციური ელ. ხელმოწერით ან კვალიფიცური ელ. შტამპით დადასტურებიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 დეკემბრამდე.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს კონცერტისათვის **„ფართით“** (სცენით) მომსახურება (დათმობა) წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად; უზრუნველყოს „მიღება" განათების აპარატურით, ელექტროენერგიით და წყლით;

5.2. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს „მიღება“ სათანადო პერსონალით.

5.3. მიმწოდებელი პასუხისმგებელია ნაკისრი ვალდებულებების განხორციელების ხარისხზე, ვარგისიანობასა და დროულობაზე.

5.4. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის წერილობითი თანხმობის გარეშე არ შეცვალოს „ფართის“ (სცენის) კონსტრუქცია და არ შეიტანოს რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება „ფართის“ (სცენის) ინტერიერში.

5.5. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას ხელშეკრულების ღირებულება დადგენილი ოდენობით.

5.9. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე.

5.10. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

5.11. მიმწოდებელი არ აგებს პასუხს შემსყიდველის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

6. მიღება-ჩაბარების წესი

6.1. მომსახურება მიწოდებულად ჩაითვლება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების“ აქტის გაფორმების შემდეგ.

6.2. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება მომსახურების მიწოდების შემდეგ.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს ორკესტრის მსახიობი დავით ტაბატაძე.

8. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

8.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი დააკმაყოფილებს „შემსყიდველის“ მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

9. ანგარიშსწორება

9.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

9.2. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე მომსახურების მიწოდების შემდეგ 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

10. ფასები

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 პუნქტში დაფიქსირებული შესასყიდი საქონლის ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრს.

10.2. ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრის ცალმხრივად შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

11.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული

წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
11.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. ფორს-მაჟორი

12.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.
12.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით და სხვა.
12.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

13.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მხარეთა მხრიდან ხელშეკრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.5% ოდენობით.
13.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს გადახდა განხორციელდება მიმწოდებელზე ხელშეკრულებით გადასახდელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით.
13.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს დამრღვევ მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.
14.2. ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე.
14.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
14.4. ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს დამრღვევ მხარეს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.
14.5. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:
ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.
ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
14.6. ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

15. დავების გადაწყვეტის წესი

15.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა მოლაპარაკებების მეშვეობით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

15.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

16. სხვა პირობები

16.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 2 ეგზემპლარად, აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება მხარეებთან.

17. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სსიპ „თბილისის სახელმწიფო კამერული ორკესტრი“	**ააიპ მესტიის მუნიციპალიტეტის კულტურის და ხელოვნების ცენტრი** სახაზინო კოდი: 0506
მის: ქ. თბილისი, სანაპიროს 4, შენობა–ნაგებობა 2, სართული 8; საბანკო რეკვიზიტები: მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა; მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში; ბანკის კოდი: TRESGE22; მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი: 708119921; საიდენტიფიკაციო N: 205296259; დირექტორი: **კონსტანტინე კასრაძე**	მის: დ. მესტია, თამარ მეფის ქუჩა #46 ტელ: 595 905154 საბანკო რეკვიზიტები: მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა; მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში; ბანკის კოდი: TRESGE22; მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი: 750857019; საიდენტიფიკაციო N: 435893749; დირექტორი: **გეგი ფალიანი**
ხელმოწერა/ბეჭედი:	**ხელმოწერა/ბეჭედი:**
_____ /კ. კასრაძე/	_____ /გ. ფალიანი/

N(n)le Mestia Municipality Culture and Art Center

Digitally signed by N(n)le Mestia Municipality Culture and Art Center
Date: 2019.08.21 13:40:06 +04'00'